პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 მაგათი 3 აპრილი № 78 (16508) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი

საქართველოს სსრ მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტიური მუშაკები და მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობის შედეგებს. ისინი მხურვალედ იწონებენ და მთლიანად უჭერენ მხარს დებულებებს და ამოცანებს, რომლებიც ამანანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობაზე დამტკიცებულ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების კირითად მიმართულებებს“. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ცდილობენ ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, 1976 წელს კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

წარმოების ყველა რგოლში ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საფუძველზე გაზარდონ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 6 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,7 პროცენტისა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1975 წელთან შედარებით 5 პროცენტით ნაცვლად დაგეგმილი 4,5 პროცენტისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვების მთელი მატების 85 პროცენტი. შეასრულონ წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 135 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის სულ ცოტა 65 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

ითვისონ 300 ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის: მანქანათმშენებლობაში — 230, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 37, კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 22. შეიმუშაონ და დანერგონ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა რესპუბლიკის 130 საწარმოსა და გაერთიანებაში. მიაღწიონ იმას, რომ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭოს 150 სახეობის ნაწარმს. შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის. დაზოგონ 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 175 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 5.400 ტონა შავი ლითონების ნაგლინი.

მინიმალური კაპიტალური დაბანდებით საწარმოთა რეკონსტრუქციის შედეგად მიიღონ წარმოების მატება 175 მილიონი მანეთის ოდენობით. გაადიდონ ფუნდუკუგება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ ამ გზით სულ ცოტა 8 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ყოველნაირად გააერცელონ და დანერგონ საყურადღებო წამოწყებანი, რომლებმაც საკავშირო აღიარება დაიმსახურეს, აგრეთვე ბათუმელ მანქანათმშენებელთა, რუსთაველ მეტალურგთა და ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მუშაკის — სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის თაოსნობანი, რომლებიც არსებითად უწყობენ ხელს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის პირობებში გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი, მიჰყიდონ სახელმწიფოს: მარცვლეული — 130 ათასი ტონა, ყურძენი — 430 ათასი ტონა, ხილი — 305 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 325 ათასი ტონა, ციტრუსი — 100 ათასი ტონა, თამბაქო — 19 ათასი ტონა, პირუტყვი და ფრინველი — 123 ათასი ტონა, რძე — 225 ათასი ტონა, კვერცხი — 320 მილიონი ცალი. საექსპლოატაციოდ გადასცენ 15 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწა.

მიაღწიონ მშენებლობის ვადების შემცირებას და შეამცირონ რესპუბლიკაში დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა 100 მილიონი მანეთით. უზრუნველყონ, რომ ვადამდე ამოქმედდეს ასამუშავებელი ობიექტები და შენობა-თა და ნაგებობათა სულ ცოტა 75 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადაეცეს „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, ვადამდე ააშენონ და გადასცენ საექსპლოატაციოდ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი, პროფტექნიკური განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — 20 აგვისტოსათვის.

სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესების გზით გეგმის გადაჭარბებით გადაზიდონ სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით 2 მილიონ ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საავიაციო ტრანსპორტით დადაიყვანონ 15 ათასი მგზავრი.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ვადამდე შეასრულონ საცალო საქონელბრუნვის გეგმა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა შეასრულონ 500 ათასი მანეთის გადაჭარბებით. გააუმჯობესონ მუშაობის კულტურა, უფრო ფართოდ დანერგონ მომსახურების ახალი ფორმები და მეთოდები.

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებიც მეათე ხუთწლედის პირველი წლის გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ, აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ დაუცხრომლად იზრუნებენ აღმშენებლობის იმ დიდებული პროგრამის შესასრულებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებში, რესპუბლიკის აქტივისა და წარმოების მოწინავეთა კრებებზე.





საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

2 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიური დარგის მდივნების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების თათბირ-სემინარი, რომელზეც განხილეს იდეოლოგიური საქმიანობის ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი მათი იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაობა სკკპ XXV ყრილობის უდიდესი იდეური სიმდიდრის დაუფლებისათვის, მასებში მისი მასალების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტებისათვის, ყრილობის მიერ დასახული ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის ახლა უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს გეგმაზომიერად, სისტემატურად და ღრმად. იგი ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს რესპუბლიკის მშრომელთა იდეური რწმენისა და პოლიტიკური შეგნების განმტკიცებას, მათი საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის ამაღლებას, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილებში — ყველგან უნდა მოეწყოს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიზნადასახული პროპაგანდა მათი უთუო შესრულებისათვის პრაქტიკულ მუშაობასთან, თვითეულ უბანზე, თვითეულ სამუშაო ადგილზე კონკრეტულ საქმეებთან მჭიდრო კავშირით.

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, ახორციელებენ რა ამოცანებს, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ფართოდ უნდა იყენებდნენ ყრილობის მასალებს, თანამიმდევრულად და დასაბუთებულად იცავდნენ მარქსისტულ-ლენინურ იდეებს და პრინციპებს, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს საბჭოთა ადამიანების იდეური რწმენისა და პოლიტიკური შეგნების განმტკიცებას, მათი საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის შემდგომ ამაღლებას, აქტიურად უწევდეს პროპაგანდას სკკპ მშვიდობისმოყვარული საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ამოცანებს, რომლებიც მთლიანად შეადგენენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას.

თათბირ-სემინარმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ მუშაობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის გაუმჯობესებას, სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩავებათ ყრილობის დელეგატები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მასწავლებლები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ, კინომ — მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებამ, ზეპირმა და თვალსაჩინო აგიტაციამ, კულტურულ - საგანმანთლებლო დაწესებულებებმა. ყველგან უნდა მოეწყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, ლექციების ციკლები, ლექტორიუმები, ქალაქებსა და რაიონებში გაიგზავნოს პროპაგანდისტული ჯგუფები.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები: პროპაგანდის და აგიტაციისა — გ. ბედინეშვილი, მეცნიერების და სასწავლებლთა — ე. სეხნიაშვილი, უცხოეთთან ურთიერთობისა — ნ. კიკვაძე და საერთაშორისო მომმართველი — ლექტორი ი. ცინცაძე. (საინფორმ).

მიწათმოქმედის რეზერვია ქიმია

2 აპრილს მოსკოვში დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილეს სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე მიწების ნაყოფიერების გადიდების აქტუალური საკითხები. თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება წარმოების ყოველმხრივი ქიმიზაციის ფართო პროგრამა, რაც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ეს უკვე ტრადიციად იქცა. ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები, ახალგაზრდობა, როცა ახალ საქმეს იწყებენ, ახალ მიჯნებზე გადიან, იკრიბებიან კოლექტიურ სიბჭოზე — საკავშირო კომკავშირულ კრებაზე.

„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს — შევასრულებთ“, — ასეთია წლევანდელი საკავშირო კომკავშირული კრების დღის წესრიგი, რომელიც სრულიად საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გაიმართება ქვეყნის ყველა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში.

აპრილში კრება გაიმართა თბილისის, ეფუზეთის, აქარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა და სასწავლებელში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, კრების მომწყობ რესპუბლიკურ შტაბში უკვე იღებენ პირველ ცნობებს კომკავშირული ორგანიზაციებიდან. ეს ცნობები მოწმობენ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მზარდ შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, მათ მზადყოფნას მთელი ძალ-ღონე მოახმარონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

პირველი კრებების მონაწილეებმა განიხილეს პარტიული ყრილობის შედეგები და განსაზღვრეს თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის მოქმედების პროგრამა, დასახეს კომუნისტთა ისტორიული ფორუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

რუხთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში საწარმოს კომკავშირელებმა კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ვალდებულება იკისრეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღისათვის გამოუშვან 25 ტონა ზეგეგმითი ქიმიური ბოჭკო. თბილისის № 8 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში კომკავშირელებმა გადაწყვიტეს საწარმოს თვითეულ ხაამქროში შექმნან „ხარისხის საგუშაგოები“, წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 250 ათასი მანეთის პროდუქცია. ახალციხის ელექტროძრავის ქარხანაში კომკავშირელებმა გადაწყვიტეს შეფობა გაუწიონ რაიონული ცენტრის სკოლებს, წინამძღოლებად მიამაგრონ წარმოების ახალგაზრდა მოწინავენი. გორის ბამბეულის კომბინატში კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა მზარდ დაუჭირეს უფროსი ამხანაგების თაოსნობას ომუშაონ დევიზით „ნოვატორთა მიჯნები. კომკავშირელთა ნორმა“. ეს საწარმო წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებს 25 ტონა ნართს და დაზოგავს 220 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

საკავშირო კომკავშირული კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სკკპ XXV ყრილობის დელეგატები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, პირველი ხუთწლედების სტახანოველები, დიდი სამამულო ომის გმირები, შრომისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ახალგაზრდობის დამრიგებლები.

საკავშირო კომკავშირული კრება 10 აპრილამდე გახტანს.

(საინფორმ).

სამშობლოს, პარტიას — დამკვრელური შრომა

დაიწყო საკავშირო კომკავშირული კრება

შრომითი ნოგათეგი

პირველი კვარტალის გეგმები შეასრულეს

□ **რუსთავი.** (საკ. კორ.). ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა მეტალურგიული ქარხნის (დირექტორი ო. სულაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე) კოლექტივმა. მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება სრული მეტალურგიული ციკლით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ერთი მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 700 ათასი მანეთის პროდუქცია.

მომხმარებელმა მიიღო ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 4 თვის დავალება ორი დღით ადრე შეასრულოს.

□ **ბაღდათი.** (საკ. კორ.). შრომითი აღმავლობაა თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის (დირექტორი გ. მიქავა) კოლექტივში. სკკპ XXV ყრილობის შემდეგ კვარტალის გეგმის შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრება რომ გაშალეს, ენერგეტიკოსებმა ორ თვეს და მარტის 25 დღეში გეგმის გადამეტებით გამოიმუშავეს 7 მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და ათასობით მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

სადგურში შეუნელებელი ყურადღება ექცევა ტექნიკის სიახლეთა დანერგვას, მოწყობილობის რეკონსტრუქციას და მოდერნიზაციას, მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქართლის“ ამოშუშავება, აგრეთვე № 1 ბლოკის ტურბინის მოდერნიზაცია, რომელიც ამ დღეებში დაიწყება.

ამჟამად სადგურში მიმდინარეობს საწარმოო რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერება. უახლოეს ხანში ყველა ეს რეზერვი ჩაყენებულ იქნება საწარმოს სამსახურში.

17 აპრილი ლენინური შეგვათოგის დღეა

ათი ათასი მეტრი ქსოვილი

თბილისი. ორი ათას ხუთასი ფეიქარი გამოვა 17 აპრილს ლენინურ შაბათობაზე თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“.

როგორც საწარმოს შაბათობის მომწყობი შტაბიდან გვაცნობეს, ფეიქრები ამ დღეს გამოუშვებენ 10 ათას მეტრზე მეტ ქსოვილს, დაასუფთავებენ საწარმოს ტერიტორიას, დარგავენ შეცნარეებს და გამომუშავებულ ხელფასს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ფეიქართა სპეციალური ბრიგადები მზად არიან დამკვრელური შაბათობისათვის. („კომ. კორ.).

საუკეთესო ხარისხით

შაგათობა ყველაზე მაღალნაყოფიერი დღე იქნება ჩვენს მუშაობაში, — ასე გადაწყვიტეს თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მშრომელებმა, რომლებიც შაბათობის მომწყობი შტაბის ხელმძღვანელობით ემზადებიან დამკვრელური შრომის ზეიმისათვის.

ამ დღეს ოცი ათასი წყვილი ფეხსაცმელი დამზადდება საწარმოს სამაჭროებში, ამასთან, ფეხსაცმელეები ვალდებულებას კისრულობენ ეს პროდუქცია საუკეთესო ხარისხისა იყოს. ხუთწლედის ფონდში მათს ანგარიშზე გადაირიცხება 12 ათასი მანეთი („კომ“. კორ.).

ხუთწლედის ფონდში

თბილისი. ტყავის საწარმოო გაერთიანებაში ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, იმის შესახებ, რომ 17 აპრილს მოეწყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობა. გათვალისწინებულია ამ დღეს დამზადონ 55 ათასი მანეთის ტყავის მასალა და მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ ოთხი ათასამდე მანეთი. (საინფორმ).

გაზაფხული გვიხმობს

□

თევსვა კვალსაბურებში

თოვლი სწრაფად დნება მინდვრებზე. ბალი გაჩაღდება საგაზაფხულო ხვნა-თესვა. ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმაც კვალსაბურებს მიაშურეს. სწრაფი ტემპით შეაკეთეს ჩარრიები, მომზადეს ნიადაგი, გაანაყოფიერეს სასუქით და დათესეს საადრო პამიდვრის თესლი. ითესება სიცივეგამძლე ჯიშები „მერემოვკა“ და „კრასნოდარული“. საჩითილე პამიდვრის თესლსა და ჩარჩოების გაწყობაზე აქტიურად შრომობს მეურნეობის პირველი განყოფილების მესამე ბრიგადა ს. თუაევის ხელმძღვანელობით.

ერედველებმა გადაწყვეტეს წლეულს 203 ჰექტარზე დათესონ ბოსტნეული. მექანიზებული წესით დათრგვება პამიდორი, კომბოსტო, დათესება ხახვი და სტაფილო, კულტივაციასაც მექანიზებულად ჩაატარებენ.

ამ გაზაფხულზე პამიდვრის ჩითილის გამოსაყვანად მომზადდა და დაითესა 2.500 ჩარჩო. კიდევ მომზადდება ხუთასი. თვითეული ჩარჩოდან განზრახულია 400 ძირი ჩითილის ამოღება. ანუ რომ 1.200.000 ჩითილი მოლიანად. უზრუნველყოფს პამიდვრისათვის გამოყოფილ ფართობს.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხალკავენ, ასუფთავებენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ჩაის პლანტაციებში პირველად ცუცხვათელი მეჩაიეები გავიდნენ და ბუჩქების გასხვლა დაიწყეს. მარტო ორ დღეში ორი ჰექტარი ჩაის პლანტაცია გასხლეს.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი წარმატებით ხორციელდება ბერეთვე სოფელ კურსების კოლმეურნეობაში. აქ ორგანიზებულად მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების შპალერული გასხვლა, პლანტაციების ეკალ-ბარდებისაგან გასუფთავება, დრენაჟების წესრიგში მოყვანა, სასუქების ნიადაგში შეტანა.

ეზრქვიან სიმეჯხრეს

ხაჩხირე. საჩხერის რაიონის მეკვლეხეებება გადაწყვიტეს ორ წელიწადში მოლიანად აღმოფხვრან ვენახების სიმეჯხრე. მათ უკვე გადაწვინეს და დარგეს 60 ათასი ძირი ვაზი. (საინფორმრი).

2 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული საზრუნავია ახალგაზრდა თაობის აღზრდა, ლენინური კომკავშირის ყოველდღიური ხელმძღვანელობა.

სწორედ ამაზეა ლაპარაკი გუშინდელ მეთაურ წერილში — „სასახელო საქმეებისათვის, კომკავშირო!“.

„ლენინურმა კომკავშირმა, — წერს გაზეთი, — თავი მეათე ხუთწლედის დამკვრელ რაზმად გამოაცხადა. მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციათა ინიციატივით ფართოდ გაჩაღდა მასობრივი პატრიოტული მოძრაობა დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს ახალგაზრდათა ენთუზიაზმი და შემოქმედებას!“. 110 ათასი მოზალიზე შეავსებს წელს იმათ რიგებს, ვინც შეფობას უწევს დასავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის საბადოთა ობიექტების მშენებლობას, ითვისებს კურსკის მაგნიტური ანომალიის სიმდიდრეებს, აშენებს ბაიკალ-ამურის მაგისტრალსა და უსტ-ილიმის ხეტყის სამრეწველო კომბინატს, სხვა უდიდეს მშენებლობებს“.

მომმე ყირგიზეთის ცხოვრების ამსახველი ფოტორეპორტაჟით გაზეთი ხსნის ახალ რუბრიკას — „რესპუბლიკები ხუთწლედის ვახტზე“.

პირველსავე გვერდზე („საშაბათო გადასახადი“) სათაურით „ხუთწლედის ფონდში“ დაბეჭდილია „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის გ. ლებანიძის ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ „წითელი შაბათობისათვის“ გულმოდგინედ ემზადება ენგურჰესის მრავალათასიანი კოლექტივი. 17 აპრილს სამუშაოდ გამოვა დაახლოებით 5,5 ათასი კაცი. კაშხალის ტანში ჩაასხამენ 1.200 კუბიკურ მეტრ მაღალხარისხოვან ბეტონს, დამონტაჟდება ორმოცდათი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობანი. იმ დღეს გამოშუშავებული თანხიდან 14.420 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

თითქმის ორი კვირა გაგრძელდა მოსკოვში თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. მოსკოველი მაყურებელი გულთბილად შეხვდა ქართული თეატრის ხელოვნებას. ამ გასტროლების გამო გუშინდელი „პრავდის“ ნომერში გამოქვეყნებულია ი. მიხაილოვას წერილი „ბამოცდილება და შემართება“, რომელსაც დღეს „კომუნისტის“ ფურცლებზე ვბეჭდავთ.

მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს აკადემიკოს გ. არბატოვის ვრცელი წერილი „საბჭოთა-ამერიკის“ ურთიერთობათა შესახებ“.

ПРАВДА

ქუთაისი-სარჩისხის, ეუფექტიანობის-ხუთწლედი

მეტროპოლიტენის მშენებლობებზე



ერთმანეთს ეჯიბრებიან გვირაბგამყვანები

თბილგვირაბმშენის № 5 საგვირაბო რაზმის № 22 უბნის გვირაბგამყვანებს დამკვრელური შრომის დღეები აქვთ. ისინი საპირველმაისო დღესასწაულის შეხვედრისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან და გაჰყავთ მეტროპოლიტენის მარჯვენა და მარცხენა გადასარბენი გვირაბები ხადგურ „ზერეთლის პროსპექტის“ მიმართულებით. მოწინავეა თ. კაჩმაზოვის გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადა, რომელიც ზლობინის მეთოდით შრომობს.

ამ ბრიგადის გვირაბგამყვანებს ყოველდღიურად 1,5-1,8 მეტრი ფართო კვეთის გვირაბი გაჰყავთ და ვალდებულება აქვთ ნაკისრი, რომ მარჯვენა გადასარბენი გვირაბის დარჩენილი მონაკვეთის გაყვანა ვადაზე ადრე, 9 მაისისათვის დაამთავრონ.

* * *

სურათზე: მარჯვნიდან — უბნის უფროსი ე. თეოდორაშვილი, ბრიგადის ხელმძღვანელი თ. კაჩმაზოვი და მოწინავე გვირაბგამყვანი მ. მუმლაძე.

ვ. ზურაბიშვილის ფოტო.

...სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს, ზიანს აყენებს სამეურნეო მშენებლობასაც, მაგრამ განსაკუთრებით ზნეობრივ აღზრდას...

რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით. მოძხვევილობა, კმრკოლსაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და უსულგულობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელი კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება.

სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

„ვინც არ მუშაობს...“

დავიწყოთ გზიდან. გზა ყველაზე თვალსაჩინოდ გადაგვიშლის რესპუბლიკის ცხოვრებას: ყოველდღიურს, არა საგანგებოდ სახეიმოს, წინმისწრიფსა და დაუცხრომელს.

კახეთი. გურჯაანი. ამ გაზაფხულის პირს ნოფლის გზა საფრონტო კომუნიკაციებს ვავაგონებს: საკოლმეურნეო ფერმებისათვის საკვებს ეზიდებიან; ყინვისაგან დამზრალ ვენახებში სითუთად მოვლილი ახალი ნერგები გადაეკვეთ; გრუხუნით დაჭრიან „სიქსოფლტექნიკის“ მოძრავი სახელოსნოები სათადარიგო ნაწილების მისაშველებლად. ალაზნის პირებიდან სამშენებლო ქვით დატვირთული თვითმცლელები მოდიან. ამ ქვას — შავს, თეთრს, ვარდისფერს სულ მალე კახური სახლების ფასადებსა და გალავნებზე გაებრწყინებს გურჯაანელ ჯალტოზთა გამრჯე მარჯვენა (ბოლო ორ წელიწადში რაიონმა გაასამკეცა მშენებლობა).

და მაინც, ეს ხისხლსავსე ცხოვრების სურათიც კი სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ გვიხატავს გურჯაანის გზას. ეს გზა რთველობას უნდა ნახოთ. ისეთი, როგორიც ჩვენ ვნახეთ და დაგვამახსოვრდა შარშანდელი შემოდგომიდან.

...სოფლის გზაზე ისარეთი გაფრენილი ყოველ მეორე მანქანა პირთამდეა მოყრილი ქვრვისფერი მტევნებით. ეს რქაწითელია, სახელგანთქმული „კახურის“ „წინანდლის“, „გურჯაანისა“ და „ტიბაანის“ მამა. მაგრამ ნუ ჩქარობთ. ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა თიხის ფიალას აიღებთ და კახური ღვინის „გემოს და სურნელს ნეტარებით დაეწაფებით.

რთველი — გაურჩეველი ვაზია, ხილებს რომ გიაფრავს, მწველი მზის ულმობელი სიმხურვალეა, მოპირთავეებიანი ქალთებისა და ვეფოლების წელში გამწყვეტი სიმძიმეა. რთველი-75 — ქუდზე კაცია. სამუშაოდ გამოსული მინდვრებში, გზებზე, ქარხნის როფებთან.

რთველი დაგვარგვინებია საყოველთაო გარჯისა. ორჯერ დასვრილ ზვრებს. ერთი — ვაზაფხულზე, სეტყვის დროს, ერთიც — ზაფხულში, ხვატსა და პაპანაქებაში. მთელი კახეთი შეება ვვალვას და კახეთთან ერთად — თბილისი, გორი, რუსთავი, ტყიბული... დაძრნენ ცისტერნები და სახანძრო მანქანები, ახვაერდნენ ტუმბოები... თბილისელმა შემდეგელებმა ორ დღეში რამდენიმე ასეული ტონა ვადაზიმეს მიღსადენი. სადაც ტუმბოები არ იყო, ადამიანებმა ეროსანი ჯაჭვი ვაბეს: ხელიდან ხელში, გადასცემდნენ თითო ვედრო წყალს: ბრიგადიერი — სკოლის დირექტორს, დირექტორი — შოფერს, შოფერი — კოლმეურნეს...

საქმეანი და მოუფლელია სოფლის შარაგზა. მაგრამ ღირს კი ალაკმს მხოლოდ იმიტომ მოჭიდო ხელი, რომ ჩვენი მაშვრალი გზების აღწერას კიდევ ერთი ფუსფუსა ვზაჯვარედინს სურათი დაუმატო?

...მოსახვევიდან მწვანე მანქანა გამოვარდა და სამშენებლო მოედანთან შეჩერდა. ლურჯქუდიანმა ქალმა უანა ქარი ვადო და ეჭვ მდგარ თმაგაუბრძანელ, ჯან-ღონით სავსე ბიჭებს ნიჩბები და ჯალამბრები ჩამოურიგა. გუშინდელი მუქამაზარები დღეს ისდიან თაგიანთ ვალს.

— ვინც არ მუშაობს... — მწარე ღიმილით ამბობს ჩვენი თანამშრომელი, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ეცადაშვილი.

• • •

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ეს ჯუხა ბიჭები ნამდვილი ბაზრის მეუფენი იყვნენ, გაგრიდან ირკუტსკამდე. მათმა ბაზრიულმა მარიუანამ და რესტორნებში ლოთი-ფოთობამ მრავალი ადამიანის თვალში ჩიჩქი მოსცხო მთელ ამ მხარეს.

განურჩეველობასა და უმეცრებასთან დავა უმდური საქმეა. „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო“ — ასე ეტყვიან კახეთში. სირიხვილის ჩამოსარეცხად ჯერ მარტო გურჯაანის ზის „მოინტური ფოტოსურათიც“ იკმარებდა. საქართველო მუდამ მშრომელი რესპუბლიკა იყო. ჩაის პლანტაციებში, ზრეებში და იალაღებზე რესპუბლიკის მკვიდრთა შრომა კი მხოლოდ აღტაცების ღირსია.

მშრომელი საბჭოთა საქართველოს განვითარების ტემპები და ნოვატორული გზა არ შეიძლება საამაყეს არ ჰგვრიდეს კაცს: ამიერკავკასიაში პირველი ენერგეტიკა და სამთომომპოვებელი მრეწველობა; კოლხეთის რომანტიკული ათვისება; უზვავ მიწაზე დანერგილი ჩაი და ციტრუსები; მეღვინეობისა და მებაღეობის, ხალხური ნახელავის მსოფლიო დიდება. სამოცდაათი ეროვნების მეგობრული შრომა...

მაგრამ ყოველივე ამის მიღმა ნელ-ნელა მწიფდებოდა თვითდამშვიდება და თვითკმაყოფილებაც, პოლიტიკური გულგრილობაც. და რაოდენ სახიფათო მოვლენაა ეს ყველაფერი სოციალურ პროცესში! (სწორედ აქედან იღებს საათიკუს პოსტებისა და პრივილეგიების შენარჩუნებისკენ, მშვიდი და არხეინი ცხოვრებისაკენ სწრაფვა).

ასე დაშორდა ერთმანეთს სიტყვა და საქმე. გაჩნდა ბზარი, რომლის გამეფებაც იუცილებელი იყო საზოგადოებრივი ორგანიზმის ჭეშმარიტი ჯანსაღებისათვის. ახლა ეს ბზარი გამოაშკარავებული და ღრმად გაანალიზებულია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში. მოვიშველიებთ პარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვას:

„ლენინური პარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კომუნისტები მოვიდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი განსაკუთრებული მადლიერებით აღსავსენი. რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ღრმა ანალიზის საფუძველზე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციურ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ჯერ ამისა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს საბჭოთა მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამის შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის საანგარიშო პერიოდიც, უდავოდ, ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე, აონიანურ დადგენილებებამდე, მკვეთრად ქვეითდებოდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი, რაც წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა. კიდევ უფრო შესამჩნევი ვახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმის მოდუნება, ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის გამოცოცხლება, მეცხრე ხუთწლედის დირექტივების შესრულების ჩაშლის საფრთხე შეექმნა“.

ჩვენი დღევანდელი ნარკვევის უმეტესი ნაწილი ხუთწლედის ტემპების აღდგენისთვის ბრძოლას ეძღვნება. მაგრამ, ვიდრე მთავარ თემაზე გადავიდოდეთ, არ შეიძლება თუნდაც ზოგადად არ გესაუბროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დღევანდელ რიტმზე, სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე.

დამნაშავეთა დანაშაული

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა: მტკვარი ადიდდა და თბილისის ზოგიერთი უბანი დატბორა. საქართველოს დედაქალაქს, ისევე როგორც თავის დროზე ტაშკენტს, მთელი საბჭოთა ქვეყანა ამოუდგა მხარში. მთა უფრო ალმაშფოთებელია ის ფაქტი, რომელიც უნდა გავიხსენოთ. № 15 სამშენებლო ტრესტში საქმოსანთა ჯგუფმა სამუშაოთა მოცულობა გაბერა, მოახერხა უბედურებაზეც კი მოეთხო ხელი და ათასობითი მანეთი ჩაიჯიბა.

„ცეკავშირის“ (რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირი) ყოფილმა თავმჯდომარემ, ყოფილმა დეპუტატმა. დამსახურებულმა კაცმა კობინატორებს განუსჯელი პარაშაში ასპარეზი მისცა, მლიქნენელობით დაბრმავებულმა, ნასუფრალით მომადლიერებულმა (თითოკვირიანი „არდადეგები“ მოსკოვში ხელოვნეთთა ბარჯზე, ან, ეთქვათ, მამამენელთა მიერ კლდეში გამოკვეთილი პერსონალური გარაჟი) „ფალმძღვანელმა“ თავადვე შეუწყო ხელი, სახელმწიფო ორგანიზაცია კერძო დუქნად რომ ექცეთ.

იყო, სამწუხაროდ, სხვა მაგალითებიც.

მაგრამ აქ მთავარი მაგალითების სიმრავლე ან სიმცირე კი არა, მათი არსია. გულარხეინობა და ლიქნას დახარბება, უდაფდელობა და თვითკმაყოფილება ასოციაციებისა და გაერთიანებათა შესრულების შემოწმებისადმი მიძღვნილი პლენუმის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო კომისიამ შრომელთა 4 ათასზე მეტი წერილი შეისწავლა და განაზოგადა, რათა სიტყვა და საქმე ერთი ყოფილიყო. საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად შეიქმნა რესპუბლიკური საბჭო, რომელმაც მუშაობაში ჩაიბა ათასობით კომპეტენტური და ავტორიტეტული ადამიანი — ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელნი. „ყველაზე მეტად რა გაბერეთ ხელს — რეპუბლიკაში, ქალაქში, რაიონში, თქვენს კოლექტივში? აი, საზომი ეშმაობებისა, რომლის მიღწევაც სურთ, აი. პირველი კითხვა ანკეტებისა, რომლებიც გაავრცელეს საწარმოებში, შენებლობებზე, კოლმეურნეობებში.

თვითგანწმენდის პროცესს საფუძვლად შემოქმედებითი, კონსტიტუციული საწყისი უძევს, თუმცა მასთან ერთად ჯერ კიდევ ბოგინობს ობივატელური წვრილმანი ინტერესიც: უსუსური ყიბეგობი და ავყიაობა: „ვესმით რა ხდება საქართველოში?“.

ესმით კი არა, საკუთარი თვალით კითხულობენ: „შარშან გიზარდა გამოვლენილ თანამდებობრივ და ანგარების მიზნით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი“. მიაქციეთ ყურადღება: „გამოვლენილ დანაშაულთა რიცხვი“. განა ვიფიქრეთ, რომ ეს ზრდა მხოლოდ უწინდელი უდარდელობის, სამარცხვინო, ზოგჯერ კი ანგარებიანი მფარველობის სამწუხარო შედეგია?

დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით ისჯებიან. ნუ გაგიკვირდებთ: ზოგჯერ სასამართლო საქმე ჩვენს თანამშრომლებს, ნაცნობებსა თუ ნათესავებსაც ეხებათ. ამ პროცესში ბევრი რამ არის მტკივნეული. არის გაბოროტებაც, წინააღმდეგობაც და მუდამ — ანონიმური.

„პატიოსანმულო „მინისტრო“! ეს ქვეყანა ჩალით დახურული ნუ გგონიათ.

თქვენი დროც მოვა და თქვენს ცოლ-შვილსაც ვნახავ „ბუბერსკის“ კარებზე „პერედაჩით“ ატუზულს. თემურ-ლენგსა და ჩინგიზხანს არ უნია ნაჭართველოსთვის, რასაც თქვენ აკეთებთ. ეს არის თქვენი ერის შვილობა? თქვენისთანა „ერის შვილი“ უნდა მოკვდეს, ჩაძაღლდეს და არ დაიმარხოს.

„განგება“.

ჩვენთვის არცერთი ანონიმური წერილი არ უჩვენებიათ. „რა საჭიროაო“ — კანონიერების დარაჯებს მართლაც თავშეკავება მართებთ.

...წერილი ნოდარ დუმბაძის ახალი წიგნიდან — „თეთრი ბიორლებიდან“ გაეგზავნეთ, სადაც იგი პირველწყაროდან არის მოყვანილი. ეცტირება თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ დამახასიათებელია მისი ტონიც, ფორმაც: ხერხიც: გაბოროტება, ანონიმური მუქარა.

2,5 პროცენტი (სამჯერ მცირე საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე).

დავტოვოთ ეს ციფრი ცალკე, ყველასათვის თვალში საცემად. სწორედ ამდენი იყო სამრეწველო პროდუქციის წლიური ნამატი საქართველოში მეცხრე ხუთწლედის 1972-1973 წლებში. ეკონომიური თვალსაზრისით (ჩვენ კი ამ საქმეში ახალბედები არა ვართ), ეს „ტემპი“ ბევრ რამეს გვეუბნება.

9,6 პროცენტი წლიური ნამატი. გამოვყოთ ეს ციფრიც — 1973-1975 წლებისა. ასეთი ტემპი, სწრაფი ზრდა (ბევრად მეტი საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე), პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი ჭეშმარიტებისა, რომლის მიღწევაც სურთ, აი. პირველი კითხვა ანკეტებისა, რომლებიც გაავრცელეს საწარმოებში, შენებლობებზე, კოლმეურნეობებში.

პროცენტი და პრესტიჟი

რესპუბლიკის პრესტიჟი... ათასი რამ ქმნის მას, მაგრამ არ არსებობს უფრო მტკიცე და საიმედო კრიტერიუმი, ვიდრე საყოველთაო-სახალხო დოვლათში შეტანილი წვლილი.

უმეტესობას კი ამგვარმა პირდაპირობამ და კანონიერების დაცვის თანმიმდევრულობამ სოციალისტური ცხოვრების ნორმების, მართლწესრიგის უარყოფების რწმენა დაუბრუნა. ამოცანა ორგანულად გადაჭრა და მტკიცედ, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. მთავარი ის არის, რომ საზოგადოებრივი მოდუნების დაძლევის პროცესი ინტენსიურად, შემოქმედებითად მიმდინარეობს და ამ პროცესის ორგვლივ ჯანსაღი განწყობილება სუფევს.

ქართველი კაცისთვის მოსწრებული სიტყვა ყოველი საუბრის უმარგალესი საკაბია. მეგობრულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან მხიარულ საუბარში მოლა ნასრედინსაც მოიგონებენ, ქართული ფოლკლორის გმირს ნიკარქეენასაც და რუსულ ანეკდოტსაც. მექრთამეები და პროტექციის მაძიებლები ქვეყნის ყბადასაღებად ქცეულან:

— სამშობიაროა? როგორ არის მშობიარე კაკალიძე?

— გილოცავთ, ქალიშვილი შეგეძინათ!

— როგორ თუ ქალიშვილი? განა ამხანაგმა დიდიმემ არ დაგირეკათ?

— ერთი ეს მითხარი, რატომ გამორიცხეს ინსტიტუტიდან ჯიჯიკო?

— ვამორიცხავდნენ, მაშ რას უზამდნენ, ბოლო სესიაზე ხუთასი მანეთის საგნები დარჩა ჩასაბარებელი.

თუმცა მოსწრებული ხუმრობა და სიცილი მარტოოდენ ვვანიშნებს განწყობილებას. ამ განწყობილების უდავო დასტური კი მხოლოდ საქმე შეიძლება იყოს.

ქალაქი იდეალისა

წერილი საქართველოდან

...„ეს ზარილი ოგანითხრობთ, თუ როგორ მუშაობენ ბოლო წლებში საქართველოს კპარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორ გაჩაღდა კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი სოციალისტური ცხოვრების ნორმებისათვის უცხო მოვლენათა აღმოსაფხვრელად, როგორ აღდგა სიტყვისა და საქმის კავშირი.

ეს ბოლო ორი ან სამი თვე ჩვენ ბევრ ადამიანს, ბევრ ოჯახს, ბევრ ადგილს ბევრ ადამიანთან ერთად ვეფეთქებოდა. ეს ბევრ ადამიანს, ბევრ ოჯახს, ბევრ ადგილს ბევრ ადამიანთან ერთად

მსოფლიოს ამბები

2 ᲥᲐᲠᲘᲚᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲔᲓᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘ

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ, ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲕᲐᲠᲜᲐᲨᲘ

ᲕᲐᲠᲜᲐ, 1 აპრილი. (საკუთარი კორ.). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს, ვარნის ოლქში ჩამოვიდა. აქ განლაგებული დვენის სამრეწველო კომპლექსის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს ისე შეხვდნენ, როგორც ძვირფას სტუმრებს.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲡᲘᲐᲜ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜᲐᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲓᲔ ᲡᲙᲒᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲕᲠᲘ, ᲡᲙᲒᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲕᲐᲜᲘ თ. დ. ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲐ, ᲩᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜᲐᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲓᲔ ᲡᲙᲒᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲕᲠᲘ, ᲡᲙᲒᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲕᲐᲜᲘ — თ. დ. ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜᲐᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲜᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ

„შეზრუნველყოთ შავი ზღვის სანაპიროზე და მთის რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება“.

(სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976–1980 წლების ძირითადი მიმართულებიდან).





ეს დაამშვენებს ზღვისპირეთს

უოველწლიურად ასი ათასობით სტუმარი ჩამოდის საქართველოში. ამჟამად ჩვენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 60-ზე მეტი საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადის. ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობისას მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები ახლოს ეცნობიან ქართული კულტურის ძეგლებს, მათს ისტორიას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ მიღწევებს. ტურისტების განკარგულებაში მქვნელი ბაზები, რომლებიც რესპუბლიკის მრავალ კუთხეშია განლაგებული, რესპუბლიკას დღეისათვის ერთდროულად 12 ათასზე მეტ ტურისტს შეუძლია მოემსახუროს.

მეათე ხუთწლედში ტურიზმის შატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგრძნობლად გაიზრდება. ეს კი თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს უფრო შინაარსიანი და ფრაგალფეროვანი გავხადოთ ჩვენი სტუმრების მომსახურება.

ამჟამად ბათუმში უდიდესი ტურისტული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. ქართველმა არქიტექტორებმა შექმნეს დიდებული ნაგებობა, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი იქნება მთელს შავი ზღვის სანაპიროზე. კომპლექსი ზედ ზღვის ნაპირზე შენდება. ეს იქნება ორი 18-სართულიანი შენობა. თვითეული 700 კაცს მოემსახურება, სტუმრების განკარგულებაში იქნება ერთი და ორადგილიანი კომფორტაბელური სამინებელი ოთახები, რესტორანი, ბარი, კინო-საკონცერტო დარბაზი. სპორტის მოყვარულთათვის გათვალისწინებულია მოეწყოს ჩოგბურთის კორტი, ხელბურთის და კალათბურთის მოედნები. სტუმრების პირველ ნაკადს ბათუმის ტურისტული ბაზა ხუთწლედის დასასრულს მიიღებს.

წელს ტურისტებს პირველად მოემსახურება ახალი ტურისტული ბაზა, რომლის მშენებლობაც კურორტ ჯავაში მიმდინარეობს. ეს ბაზა ზაფხულის პერიოდში იმუშავებს. ჯავაზე ერთ-ერთი საკავშირო ტურისტული მარშრუტი გაივლის.

245 კაცზეა გათვალისწინებული ცხინვალის ტურისტული სასტუმრო. საძინებელი კორპუსის გარდა აქ აშენდება რესტორანი, კაფე-ბარი, მოეწყობა სპორტული მოედანი. მშენებლობა 1978 წლისთვის დამთავრდება.

შარშან ოჩამჩირეში ზღვის პირას დაიწყო კომფორტაბელური, 458-ადგილიანი 16-სართულიანი ტურისტული სასტუმროს მშენებლობა.

დიდი სამუშაოებია მოსალოდნელი რიწის ტბის გარშემო. უახლოეს წლებში ეს ადგილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს დასასვენებელ ცენტრად გადაიქცევა. აშენდება 350-ადგილიანი სასტუმრო, გაიხსნება რესტორანი, კაფე-ბარი. თავისი წარმტაცი ბუნებითა და ჰაეთი კურორტი ქობულეთი ათასობით ტურისტს იზიდავს. ქართველმა არქიტექტორებმა მეიმუშავეს ქობულეთის განაშენიანების პერსპექტიული გეგმა.

გენერალური გეგმის თანახმად, მთელი სანაპირო ზოლი დაყოფილია სამ ზონად: ბობოყვათი, კურორტის ცენტრალური ნაწილი და ფიქნარი. ბობოყვათის მიდამოებში აღიმართება ხუთი 11-12-სართულიანი სასტუმრო-პანსიონატი, თითოეული 500 ადგილით. მათში მშრომელთა დასვენებისათვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. ძირითადად დაგეგმილია ერთ და ორადგილიანი ნომრები, პირველ სართულზე მოთავსდება კაფეები, რესტორნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სწარმოები. მასთან ახლოს აშენდება რესპუბლიკაში უდიდესი ტურისტული ბაზა. ამასთან ბობოყვათის ზონაში მოეწყობა სამი საცურაო აუზი ზღვის გამთბარი წყლით.

კურორტის ცენტრალურ ნაწილში თავს მოიყრის ყველა ადმინისტრაციულ-სამეურნეო და კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებანი, საცხოვრებელი სახლების კომპლექსი.

ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნავარაუდევია ტყე-პარკის გაშენება, სადაც შესაძლებელი გახდება სპორტულ ნაგებობათა, სტადიონებისა და საწყლისნო სადგურების აშენება...

ძალზე ორიგინალური იქნება ახალი ტურისტული კომპლექსი „გაგრა-ალმიური“. საჰაერო-საბაგირო გზა ჩვენი რესპუბლიკის პეიზაჟის გასუფოფელი ნაწილი ხდება. „საჰაერო ტრამვაი“ ტურისტებს ფასანაურის, ყაზბეგის, სოხუმის მრავალ თვალწარმტაც ადგილთან დააკავშირებს.

უახლოეს წლებში დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო ტურისტებისათვის მოეწყობა კომფორტაბელური ავტოსადგურები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება როგორც მოკლევადიანი, ასევე ხანგრძლივი დასვენებისათვის.

მეათე ხუთწლედში საქართველოში ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კიდევ უფრო გაძლიერდება.

შ. სვანი.

* * *

სურათებზე: (ზემოთ)— 200-ადგილიანი ტურისტული ბაზა ავადმყოფთა. პროექტი დაამუშავეს არქიტექტორებმა დ. თუთბერიძემ და ნ. ქორიძემ; ასეთივე ბათუმის ტურისტული სასტუმროს კომპლექსი. ავტორები — ე. ჩხეიძე, გ. ერქომაიშვილი, ქ. ბუჩუულაძე.

ავტორის ფოტო.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

კვლავ სიჩქარე

ცვლილებები მოძრაობის წესებში

როგორც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იცან, შარშან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ავტომოტოტრანსპორტის მაქსიმალური სიჩქარის დამატებით შეზღუდვათა დაწესების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა პირველი ნოემბრიდან. ამ დადგენილების მიღება აუცილებელი გახდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდამ. ანალიზმა ცხადყო, რომ ავტოავარიების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გზებზე ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის გადაჭარბებული სიჩქარე იყო. ამ დადგენილების მიღების შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და საგზაო მოძრაობის წესებში მოხდა ახალი ცვლილებები და დამატებები. ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საავტომობილო ინსპექციაში უთხრეს:

— ჩვენს რესპუბლიკაში ავტომოტოტრანსპორტზე მაქსიმალურ სიჩქარეთა ზღვარი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: მსუბუქი ავტომობილებისათვის 80 კილომეტრი საათში, ავტობუსებისათვის — 70, საკვირთო ავტომობილებისათვის — 60, ხოლო მძიმეწონიანი — არაგაბარიტული ტვირთმზიდების, ავტოამწეების და სხვა თვითმავალი მექანიკური ტრანსპორტისათვის — არაუმეტეს 50 კილომეტრისა საათში. გათვალისწინებული იყო აგრეთვე მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე იმ სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა მუშაობის სტაჟი ორ წელზე ნაკლები ჰქონდათ, მათთვის მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატებოდა 60 კილომეტრს საათში, ამავე სიჩქარით მოძრაობდნენ მოტოციკლებიც.

ახლა ეს დადგენილება რამდენადმე შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ავტომოტოტრანსპორტის სიჩქარის განსაზღვრა ერთიანად რომ ყოფილიყო, ამიტომ სსრ კავშირის შიგნან საქმეთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაადგინა სხვადასხვა ტრანსპორტისათვის შესაბამისი სიჩქარეები და ბრძანებით საგზაო მოძრაობის წესების 74-ე, 75-ე და 179-ე პუნქტებში ცვლილებები შეიტანა.

ძირითადი ცვლილებებია ის, რომ მსუბუქ ავტომობილებს, საქალაქთაშორისო და ტურისტულ ავტობუსებს, აგრეთვე სატვირთო ავტომობილებს, რომელთა ნებადართული მაქსიმალური წონა 3,5 ტონამდეა, უფლება ეძლევათ დაუსახლებელ ადგილებში იმოძრაონ საათში არა უმეტეს 90 კილომეტრი სიჩქარით, დასახლებულ პუნქტში კი მათთვის მოძრაობის სიჩქარე საათში კვლავ სამოცი კილომეტრია. ხოლო სხვა ავტობუსებისათვის, სატვირთო ავტომობილებისათვის, რომელთა მაქსიმალური წონა 3,5 ტონაზე მეტია — 70 კილომეტრი საათში. ამავე სიჩქარით უნდა იმოძრაონ იმ ტრანსპორტის მძღოლებმაც, რომლის შოფრობის სტაჟი ორ წელზე ნაკლებია. ავტოამწეების, თვითმავალი მანქანების და მექანიზმების მოძრაობა ნებადართულია საათში არაუმეტეს 50 კილომეტრი სიჩქარით, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელნიც ახორციელებენ მძიმე წონის და არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვას — ავტონახშექციასთან შეთანხმებული სიჩქარით.

ავტომობილებზე, რომელსაც მართავენ ორ წლამდე სტაჟის მქონე პირები, სატრანსპორტო საშუალებით მძიმე წონის და არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალური სიჩქარე (მათ რიცხვში, ძისამმელიანი სატრანსპორტო საშუალებებისა) ტექნიკური დასასიათებით ორმოცდაათ კილომეტრზე ნაკლებია, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სიჩქარის შეზღუდვის ნიშანი, რომლის აღწერილობა ყველა ავტომძღოლისათვის ცნობილია.

გზის იმ უბნებზე, სადაც პირობები უზრუნველყოფენ დიდი სიჩქარით უსაფრთხო მოძრაობას, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით იმ სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებზეც საკალდებულო არ არის სიჩქარის შეზღუდვის საცნობი ნიშნის მოხატვა, სიჩქარე შეიძლება მომატებულ იქნას. გზის ასეთ უბნებზე იდგმება. შესაბამისი საგზაო ნიშნები.

ზღვის ფსკერიდან

ბათუმის პორტის ერთ-ერთი ნავთსაყუდელის რეკონსტრუქციის დროს მოცურავე ამწემ ზღვის ფსკერიდან ამოიღო უძველესი ღუზა, რომელიც ხუთ ტონას იწონის და 3,5 მეტრის სიგრძისაა.

ბათუმში მცხოვრებმა ძველმა მეზღვაურებმა დაადგინეს, რომ ეს საამირბარო ღუზა ას წელზე მეტი ხნისაა და ეკუთვნოდა 120-ზარბაზნიან სამხედრო იალქნიან გემს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი იყო რუსულ ფლოტში. ასეთივე ღუზა, რომელიც ეკუთვნოდა ადმირალ ნახიმოვის ფლაგმან გემს „იმპერატრიცა მარიას“, იპოვეს სევასტოპოლის უყურეში.

საინტერესო ნაპოვნი დაამშვენებს ბათუმის სანაპიროს ერთ-ერთ კუთხეს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წარმატება უსურვეს

შეხვედრა საქართველოს სპორტკომიტეტში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთან

საინტერესო შეხვედრა გაიმართა გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტში, სადაც შეიკრიბენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, შრომის გმირები, სპორტის სახეობათა საუკეთესო წარმომადგენლები, ფიზიკულტურული აქტივი, ფეხბურთის ძველი ვეტერანები, ჟურნალისტები, რათა ახალი სეზონის დაწყების წინ წარმატება ესურვათ თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდისათვის, გზა დაელოცათ ვმ-ე საკავშირო ჩემპიონატში.

შეხვედრა გახსნა და დინამოელ ფეხბურთელებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებელი დ. ჰარტნავა. მანვე წაიკითხა სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კავაზაშვილის დეპეშა, რომელშიც ვეტერანი ფეხბურთელი აფრიკიდან (იგი იქ ავარჯიშებს ერთ-ერთ გუნდს) ახალი სეზონის დაწყებას ულოცავს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს და წარმატებას უსურვებს მათ საკავშირო ჩემპიონატში.

— თქვენი გამარჯვებები კარგ ხასიათზე გვაყენებს და, წარმოიდგინეთ, შრომის ნაყოფიერებასაც საგრძნობლად ზრდის, წარუმატებლობა კი ყოველთვის გულს გვიკლავს, — თქვა შეკრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ზ. სალარიძემ.

— გისურვებთ გაიმეოროთ 1964 წელი, ქართული ფეხბურთის „ოქროს წელი“, — უსურვა დინამოელებს სოციალისტური შრომის გმირმა ეთერ სოლომონიამ.

დინამოელ ფეხბურთელებს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაქრაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯიჯიელავა, გრიგოლ გაგუა, მიხეილ ბერძენიშვილი, სერგო შუდრა, მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, სპორტის ოსტატები რუსუდან სიხარულიძე, ჯიბილო ნიჟარაძე, ალექსანდრე კოტრიკაძე და სხვ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ „დინამოს“ ოსტატთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნოდარ ახალკაცი, გუნდის კაპიტანი ვახტანგ ჭელიძე, დინამოელთა კომსორგი დავით ყიფიანი და სხვა ფეხბურთელები.

ო. ნოზაძე.

ხელბურთელთა საკავშირო

დღეს ჩელიაბინსკში იწყება ხელბურთში მე-15 საკავშირო ჩემპიონატი — დასკვნითი ტური უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.

განვლილი სამი ტურის შემდეგ გათამამებული ცხრილს ძტაცეცდ ფლგას სათავეში ცსკა. გუნდმა დაუბარცხებლად ჩაატარა 13 შეხვედრა და ქულათა მაქსიმუმი 26 — მოაგროვა.

არმიელთა ახალგაზრდულ, მაგრამ გამოცდილ კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს კვლავ მოიპოვოს ჩემპიონის სუპატიო წოდება, მითუმეტეს, რომ მეორე ადგილზე მყოფ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ისინი მთელი 5 ქულით უსწრებენ.

თუ ოქროსა და ვერცხლის მედლების რეალური პრეტენდენტები ცნობილია, ამას ვერ ვიტყვით ბრინჯაოს მედლის მომავალ მფლობელზე.

საუკეთესო სტარტის შემდეგ თბილისელ ხელბურთელებს კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ვადაზე ადრე დასტაბრონებოდნენ მესამე სპრიზო ადგილს, მაგრამ მათ გათამაშების „მიტელშპილი“ სვეროდონეცკში ძალზე სუსტად ჩაატარეს, დაკარგეს უადრესად საჭირო ქულები სწორედ იმ გუნდებთან შეხვედრებში, რომლებიც დღეს-დღეობით ბრინჯაოს მედლის პრეტენდენტები არიან.

თბილისელები, რომელთაც 14 ქულა აქვთ, სულ ერთი ქულით უსწრებენ მოსკოვის „კუნცევოსა“ და ზაპოროჟიელ ალუმინმშენებლის, ხოლო ორით — კრასნოდარელ სტუდენტებს. ალბათ ამ ოთხ კოლექტივს შორის ჩატარებული მატჩები გადაწყვეტს მესამე სპრიზო ადგილის ბედს.

ასე რომ ხუთი დღის განმავლობაში ჩელიაბინსკის სპორტის სასახლის სარბიელზე ხელბურთის გულშემატკივრები საინტერესო სპორტული ბრძოლების მოწმენი იქნებიან.

ჯ. აბაიშვილი.

მოკლედ

კალათბურთი. ევნეევაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი იტალიის კლუბ „ინისსა“ (ვარესე) და მადრიდის „რეალს“ შორის. ანგარიშით 81:74 (43:42) გაიმარჯვეს იტალიელებმა და საპატიო პრიზი დასაკუთრეს.

შამი. თბილისში ჭადრაკის სასახლეში დაიწყო რესპუბლიკური პირადგუნდური პირველობა, რომელშიც სპორტსაზოგადოებათა შვიდი გუნდი გამოდის. უკვე აიღეს სტარტი ქალებმა. პირველ ტურში თ. გამხიტაშვილმა მოუგო მ. ჩიქვილაძეს, მ. მოსიიქმ— მ. ავალიშვილს, ლ. ზოლოტუხინამ— ს. მიჯაშვილს, ნ. ამაშუკელმა — ე. შვეფოვას, ო. ბიიკომ — მ. ლოლიშვილს. 5 აპრილს შეჯიბრებაში ჩაებმებიან ვაჟები.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

რამდენიმე ამბავის ყულაბა

სტრიქონით

რამდენს იწონის დედამიწა

...იცით თუ არა, რომ პლანეტა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ, იწონის... 5.955.625.500.000 ტონას. ხოლო მზე 330 ათასჯერ მძიმეა დედამიწაზე.

დედამიწის განივი კვეთი 12.750 კილომეტრია, გარშემოწერილობა — 40.000 კილომეტრი. მზის განივი კვეთი დაახლოებით 109-ჯერ (1.391.000) მეტია დედამიწაზე.

მზის მოცულობა 1 მილიონჯერ მეტია დედამიწის მოცულობაზე. სწორედ ამდენჯერ მეტია 3 ლიტრი წყლის მოცულობა ერთი წვეთის მოცულობაზე. მზის ზედაპირის ტემპერატურა 6000 გრადუსს უდრის.

მთვარის განივი კვეთი თითქმის 4-ჯერ ნაკლებია დედამიწის კვეთზე და 400-ჯერ ნაკლებია მზის განივ კვეთზე.

მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტაა იუპიტერი, რომლის განივი კვეთი 11-ჯერ მეტია დედამიწის განივ კვეთზე. იუპიტერის მოცულობა კი 1000-ჯერ მეტია დედამიწის, მოცულობაზე.

დედამიწისაგან ყველაზე ახლოს მდებარე ვარსკვლავი ჩვენგან 270.000-ჯერ უფრო შორს არის, ვიდრე მზე. მანძილი უახლოეს ვარსკვლავამდე უტოლდება 40.000.000.000.000 (40 ბილიონ) კილომეტრს.

ასწავლიან კითხვას

ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ბიბი-სი) დაიწყო სასწავლო სატელევიზიო სერიების გადაცემა, რომელიც გათვალისწინებულია წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისათვის.

ასეთ ადამიანთა რიცხვი კი, როგორც ამას წინანდელი გამოკვლევით აღმოჩნდა, ინგლისში ორ მილიონს აღწევს.

როგორც საინფორმაციო ბიულეტენი „იუნესკო ნიუსი“ იუწყება, გადაცემებს, რომლებშიც ცისფერი ეკრანის ბევრი „ვარსკვლავი“ მონაწილეობს, ერთი მიზანი აქვს: ასწავლონ ადამიანებს მაღაზიების ფასადებზე, ტრანსპორტზე და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში გაკრული წარწერების კითხვა.

ალბანეთის ქალაქ ხაჩიოს ქალების შემოსევის საფრთხე

ალბანეთი აფრიკის ქვეყნებს უახლოეს ჯანშუ ქალების შემოსევის საფრთხე მოელინა, თუ დროულად არ იღონეს რამე ამ საშიში სასოფლო-სამეურნეო მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი გაფრთხილება გამოაქვეყნა პრესაში აღმოსავლეთ აფრიკაში უდაბნოს კალიისაგან კონტროლის ორგანიზაციამ, რომლის შტაბ-ბინაც ადისაბებაშია.

ორგანიზაციის მონაცემებით, ახლა შეიმჩნევა „კალიების გამრავლება წითელი ზღვის ორივე ნაპირზე, განსაკუთრებით კი საუდის არაბეთის ზღვისპირა რაიონებში, სადაც ამჟამად აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ მავნებლების ლიკვიდაციისათვის. „ალიის დიდი გუნდები შენიშნეს აგრეთვე სუდანის წითელი ზღვისპირა რაიონებში.

ისევ უკანბუნებაში

ინგლისის, შვეიცარიისა და ევროპის სხვა ქვეყნების რამდენიმე ზოოპარკმა გადაწყვიტა განახორციელონ ღონისძიებები იმ ცხოველთა გადასარჩენად, რომელთა არსებობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

მაგალითად, შვეიცარიის ზოოპარკში დაიწყეს ხოხობების, იხვებისა და სხვა ფრინველების, რომლებიც უკვე იშვიათად გვხვდება ცენტრალურ ევროპაში, მასიური გამრავლება. ლონდონის ზოოპარკები აფრიკაში დაბრუნებენ მტაცებლებს, ხოლო აზიის კონტინენტზე — მანგუსტებს; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოოპარკებს მთებში გაჰყავთ არწივები.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იდგა. სანაპირო რაიონებში 13 საათზე 9-11, კოლხეთის დაბლობზე 13-17, მთებში 12-15 გრადუსი სითბო აღინიშნა. აღმოსავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდი იყო. კახეთის ზოგიერთ რაიონში წვიმდა, დაბლობ რაიონებში 7-11, მთაში 3-7 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში 13 საათზე 8 გრადუსი სითბო იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 12-17, მთაში 6-10 გრადუსი სითბო იქნება.

კახეთის ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია მცირე წვიმა და ნისლი, დაბლობ რაიონებში 8-13, მთაში 1-6 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში მოსალოდნელია 11-13 გრადუსი სითბო.

პირველი პროგრამით

5 აპრილი

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა,
18.05 — განცხადებები,
18.10 — „ცეროდენას ეკრანი“,
18.40 — მოსწავლეთათვის — „შენ გიგალობ, პატარავ!“ (ფერადი გამოსახულებით),
19.25 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.45 — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სანასუხოდ“ — „განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან“,
20.15 — „სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შესახებ“ (სტუდიაში— საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი),
20.30 — „უნგრეთის ძველი და თანამედროვე არქიტექტურა“. ფერადი გამოსახულებით,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“.

8 აპრილი

10.30 — ქართული საბავშვო-ზიო მხატვრული ფილმები: „უსახელო უფლისწულიელი“ და „ფუნჯით ნათქვამი“,
11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სანდო კაცი“ (I სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.20 — „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
18.40 — განცხადებები,
18.45 — მოსწავლეთათვის — „მაცნე“,
19.10 — „სოფლის მეურნეობა სპეციალისტის ტრიბუნა“,
19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — კონცერტი „საგაზაფხულო“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — სატირული კინოჟურნალი „ფიტილი“,
21.40 — ნახატი ფილმი „მომაბეზრებელი მუსიკოსი“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „დიდი მიწა“. დასასრული — ახალი ამბები.

6 აპრილი

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ირდელოეთის მდინარეთა ზღაპრები“,
11.00 — მხატვრული ფილმი „როცა ხეები დიდი იყო“,
16.35 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
17.00 — „ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი მუსხელიშვილი“,
17.55 — განცხადებები,
18.45 — სპორტული მიმოხილვა,
19.10 — გადაცემა — „ფაროთდ დავნერგოთ ბრიგადული — საიჯარო“...,
19.30 — „მითი და არქეოლოგია“. (ფერადი გამოსახულებით),
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ (I მოქმედება),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ (II მოქმედება), დასასრული — ახალი ამბები.

7 აპრილი

10.30 — VI კლასელთათვის— ფიზიკა,
11.00 — „ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“. ფერადი გამოსახულებით. (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯანმრთელობის პირველი სახალხო კომისარი“,
17.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.35 — კინონარკვევი გამოჩენილი პარტიზანი,
18.35 — განცხადებები,
18.40 — მოსწავლეთათვის — „საით წავიდნენ“,
19.40 — „სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შესახებ“,
20.15 — „მოიზმის დანაშაულებრივი არსი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“ — პრემიერა — საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები,
23.15 — ნახატი ფილმი — უფროსებისათვის,
23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

9 აპრილი

11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სანდო კაცი“ (II სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ფინეთის მიწაზე“,
18.30 — განცხადებები,
18.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (გამეორებით),
19.05 — „ჩვენი გადაცემების კალეიდოსკოპი“,
19.25 — „საზოგადოება და დანაშაული“,
19.45 — კინონარკვევი,
19.55 — „ჩვენი სტუმრები“,
20.25 — ქართული ხალხური სამღერები,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „საესტრადო პანორამა“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ოქროს ნოტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან),
23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

10 აპრილი

11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „ჩვენს ეკრანზე“ — „ჯინის სამყაროში“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მუსიკალური ფანტაზია. ფერადი გამოსახულებით, 22.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი ა. სამსონოვი — „კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა“. საქართველოს ტელევიზიის დადგმა. ფერადი გამოსახულებით (გამეორებით), დასასრული — ახალი ამბები.

ტელევიზია

3 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოქროს ბეღელი“, 11.00 — „ქართული ხალხური ფოლკლორი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „შევისწავლოთ ქართული ენა“, 12.45 — დოკუმენტური ფილმი „აქვარელი“, 13.00 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 14.00 — კინონარკვევი „ისინი ჩვენ გვიყურებენ“, 14.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 15.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — „ბავშვებისთვის — გასართობი კინოპროგრამა, 15.15 — სტუდენტთათვის — ფიზიკა, 16.15 — „ეროვნული ფერწერა“. საბჭოთა არმიის მეომრებისთვის, 17.00 — სსრ კავშირის პირველობა. ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), 18.45 — „ორიენტირი — მოგება, რენტაბელობა, ხარისხი“. (გამეორებით), 19.15 — კინოპროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.25 — მოსწავლეთათვის — „მზის იალქანი“. ფერადი გამოსახულებით, 20.00 — კინონარკვევი, 20.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ესპანეთი 76 წლის გაზაფხულზე“. პრემიერა, 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — დოკუმენტური ფილმი „ჩინგიზ აიტმატოვი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.05 — სპორტული პროგრამა: 1. მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. III პერიოდი (გადმოცემა პოლონეთიდან). 2. ევროპის პირველობა ძალოსნობაში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ბერლინიდან); 3. მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები. II და III პერიოდი. (გადმოცემა პოლონეთიდან).

11 აპრილი

11.00 — „შეგისწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — კინონარკვევი — „შეხვედრა ჯოკონდასთან“,
12.00 — ლენინური პრემიის მოსაპოვებლად სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.20. — „დღეს საჰაერო თავდაცვის ჯარების დღეა“. სტუდიაში — საბჭოთა კავშირის მარშალი — პ. ბატიცკი (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — კინონარკვევი,
13.00 — კინოიაფა,